თავისუფალი მედიის როლი დემოკრატიულ სახელმწიფოში

დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისუფალ მედიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან მედიის თავისუფლება საზოგადოებრივი აზრის გამოვლენისა, და ფორმირების საუკეთესო საშუალებაა. მედიას აკისრია პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გავრცელებისა და გაშუქების მისია.

მედიის თავისუფლება მნიშვნელოვან სტატუსს იძენს, თუ მისი მეშვეობით განსაკუთრებული ინტერესის მქონე საკითხები შუქდება. თუმცა, ეს საკითხები ობიექტურად უნდა გაშუქდეს და არ უნდა იყოს რეალობას მოკლებული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ნათქვამია: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად“. ყველას აქვს უფლება იცოდეს სიმართლე და ყველა მედია საშუალებას აქვს გააგრძელოს ფუნქციონირება, თუ მისი საქმიანობით არ ხდება დეზინფორმაციის გავრცელება.

ხელისუფლების მიერ, თავისუფალ მედიაზე თავდასხმისა და მისი განადგურების მცდელობის, არა ერთი მაგალითი გვახსოვს საქართველოში. გავიხსენოთ 2007 წლის 7 ნოემბერი, როდესაც თავისუფალ მედიაზე ფიზიკური და არა მარტო ფიზიკური თავდასხმა განახორციელა. შედეგად გაითიშა მაუწყებლობა და ეს იყო მცდელობა, ხელისუფლებას სრული კონტროლი ქონოდა კრიტიკულ მედიაზე და საზოგადოებას არ მიეღო ინფორმაცია, რაც იმ წუთებში თუ იმ პერიოდში ხდებოდა საქართველოში.

თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის თეორია ჩამოყალიბდა ჯანსაღი და გამართული დემოკრატიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვაკუთხედად. ცენზურის არარსებობის შემთხვევაში, ჟურნალისტიკა თვალყურს ადევნებს როგორც კერძო, ასევე სამთავრობო საქმიანობას — აქტიურად ცდილობს ინფორმაციის გავრცელებას,

რათა ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ინფორმირებულობას. ამ თვალსაზრისით, „მთავრობის მცდელობები გავლენა მოახდინოს გამოქვეყნებულ ან ეთერში გასულ საინფორმაციო შინაარსზე, მედიის კონტროლის გზით ან თვითცენზურის შემოღებით, წარმოადგენს საფრთხეს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის და გავლენას ახდენს დემოკრატიის ხარისხზე“.

დამოუკიდებელი პრესა „ემსახურება პოლიტიკური ცოდნის, მონაწილეობისა და ამომრჩეველთა აქტივობის გაზრდას“, როგორც სამოქალაქო მონაწილეობის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი. გავიხსენოთ ერთ-ერთი მაგალითი დამოუკიდებელი მედიისა, რომელზეც ყოველ ჩვენთაგანს ერთხელ მაინც გვიცინია. ჩრდილოეთ კორეის მედია საშუალებებით გაშუქებული საფეხბურთო მატჩი, სადაც ჩრდილოეთ კორეამ, ანგარიშით 2-1 მოიგო, რეალურად კი 1-2 დამარცხდა. ეს თითქოს სახალისო მაგალითია, მაგრამ იქ მცხოვრები ადამიანები, სრულ ვაკუუმში ცხოვრობენ და ცოტას თუ აქვს წარმოდგენა, თუ რა ხდება მათი ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

საერთაშორისო ორგანიზაციის — „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ (RWB) — მიხედვით, მსოფლიო მოსახლეობის მესამედზე მეტი ცხოვრობს სახელმწიფოებში, სადაც არ არსებობს თავისუფალი პრესა. უმეტესწილად, ეს ხალხი ცხოვრობს იმ სახელმწიფოებში, სადაც არ არის დემოკრატია ან დემოკრატიულ პროცესებს მნიშვნელოვანი ხარვეზები გააჩნია. პრესის თავისუფლება განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა არადემოკრატიული სახელმწიფოებისთვის, რადგან თანამედროვე ეპოქაში ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა კრიტიკულად საფრთხის შემცველია მათთვის და მათთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმებისთვის. ამ მიზნით, არადემოკრატიული სახელმწიფოების უმეტესობა იყენებს სახელმწიფო საინფორმაციო პლატფორმებს, რათა ხელი შეუწყონ პროპაგანდას — მმართველი პოლიტიკური ძალის დარჩენას ქვეყნის სათავეში. ამასთან ერთად, დამოუკიდებელი ჟურნალისტის ან მედიის ყველა მცდელობის — მთავრობისთვის არასასურველი ინფორმაციის გავრცელება, მთავრობის კრიტიკა და ა.შ — ჩახშობა სპეცსამსახურების მიერ (ხშირად პოლიციის, სამხედრო და საიდუმლო სამსახურების მიერ საკმაოდ უხეში მეთოდების გამოყენებით). ასეთ ქვეყნებში, ჟურნალისტები, რომლებიც ცდილობენ მიუკერძოებლად და თავისუფლად შეასრულონ სამსახურეობრივი მოვალეობები, ხშირად ხდებიან სახელმწიფოს საიდუმლო სამსახურების მიერ დაშინების ობიექტები. ეს შეიძლება იყოს მუქარა — სულ მცირე, პროფესიული კარიერის დასრულება (სამსახურიდან გათავისუფლება, პროფესიულ შავ სიაში მოხვედრა) ან, მეტიც, მძიმე დანაშაულებით დამუქრება — გატაცება, წამება, მკვლელობა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას რომ დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში თავისუფალი მედიის არსებობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იმის მაგივრად, რომ ვებრძოდეთ და რაიმე ფორმით ხელს ვუშლიდეთ მის საქმიანობას, პირიქით მოფრთხილება და მაქსიმალური ხელშეწყობაა საჭირო. აუცილებელია ნებისმიერმა ხელისუფლებამ გაიაზროს, რომ შეიძლება დადგეს დრო, როდესაც თავად დასჭირდებათ თავისუფალი და დამოუკიდებელი მედის არსებობა.

ავტორი: ნიკა გოგიჩაიშვილი